MTPL-სა (ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა) და MPA-ს (ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა) დაზღვევის ხელშეკრულების

საინფორმაციო ფურცელი

1. **მზღვეველის შესახებ ინფორმაცია:**

- **სს „ჰუალინგ დაზღვევა“** (საიდენტიფიკაციო კოდი 406232214, იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #1.)
- წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **სს „ჰუალინგ დაზღვევის“ მიერ შემუშავებული** ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის ხელშეკრულების საინფორმაციო ფურცელს;

2. **დაფარული რისკები:**

2.1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას დაფარული რისკია:

- დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც ადგილი აქვს: დაზარალებულის (მესამე პირის) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან/და ქონების დაზიანება/განადგურებას;

2.2. ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევისას დაფარული რისკია:

- ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მომხდარი უბედური შემთხვევა, რომლის დროსაც ადგილი აქვს: მგზავრების სიცოცხლის მოსპობას ან/და ჯანმრთელობის დაზიანებას.

3. **სადაზღვევო დაფარვის პირობები:**

დაზღვევის პოლისის/ხელშეკრულების დანართი #2-ის 1.1. და 1.2. პუნქტებში მითითებული დაფარული რისკებით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, დაზღვევის ხელშეკრულების პირობების (დაფარვები და გამონაკლისები) შესაბამისად მზღვეველს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზაღაურების გაცემის ვალდებულება, რაც განსაზღვრულია ხსენებულ დანართი #2-ში.

4. **აღნიშნული დაზღვევის ხელშეკრულებით ფრანშიზა დადგენილია:**
   - ✓ **ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას - ტაქსის დაზღვევის შემთხვევაში 150.00 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველ სადაზღვევო შემთხვევაზე;**

5. **ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი შემთხვევა, დაზიანება ან ზარალი გამოწვეული შემდეგი გარემოებებით:**

5.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებულია ან აღნიშნული იყო დაზღვევის განაცხადში;
5.2. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტომანქანაში იმყოფებოდა შესაბამისი ავტოტრანსპორტის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულის მიუხედავად მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა ავტომანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მყოფ ნებისმირი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;
5.3. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოყვა გასაღების ავტომანქანაში დატოვებას, არაუფლებამოსილი მძღოლის მიერ მართვას;
5.4. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დაზიანებაზე, დეფექტური მასალის გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებაზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტომანქანის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას ან დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ ავტომანქანის გაუმჯობესების მიზნით გაწეულ ხარჯებზე, თუ აღნიშნული გაუმჯობესება არ ყოფილა ჩვენთვის შეტყობინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
5.5. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;
5.6. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით დამდგარ პასუხისმგებლობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თქვენთვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;
5.7. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება იმყოფებოდა გაუმართავ და/ან მართვისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში; ამასთან, იმ შეთხმვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად, დაზღვეული ავტოტრანსპორტი ექვემდებარება სავალდებულო ტექნიკურ დათვალიერებას და მას არ ექნება ასეთი გავლილი, მზღვეველი უფლებამოსილია უარი თქვას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღურების გაცემაზე.
5.8. წინამდებარე ხელშეკრულებისა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე/დაფარვაზე;
5.9. იმ ქონებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს თქვენი ან უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილობით ინახება თქვენთან/მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტომანქანით ან/და ზარალი გამოწვეული დაზღვული ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;
5.10. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს ავტომანქანას მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი (იგულისხმება ქურდობის/ძარცვა/ყაჩაღობით ან მათ მცდელობით დამდგარი პასუხისმგებლობა);
5.11. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტომანქანის მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით გამოყენებისას ან ავტომანქანის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ იყო მითითებულ პოლისში, ასევე თუ შემთხვევა შედეგად მოყვა ავტომანქანის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მისი დატვირთვის, გადმოტვირთვის, ასევე საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის ლაფეტით გადაზიდვის ან ბუქსირით გადაადგილებას;

5.12. შემთხვევაზე, რომლიც მოხდა ავტომანქანის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომზე მომხდარი შემთხვევებისა;
5.13. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა სამშენებლო ტერიტორიაზე/სამშენებლო მოედანზე ავტომანქანის ყოფნის ექსპლუატაციის დროს;
5.14. შემთხვევაზე, რომლიც მოხდა უფლებამოსილი მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს; უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობის ან ისეთი განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
5.15. თქვენი ან თქვენი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;
5.16. გარემოებებზე, რომლიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია თქვენთვის ან თქვენი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობეთ მზღვეველს წერილობით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;
5.17. შემთხვევაზე, რომელიც გამოწვეულია:
5.17.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით ან დაბინძურებით;
5.17.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირების ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;
5.19. შედეგებზე, რომლიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მდგომარეობით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციითა ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;
5.20. შემთხვევებზე, როდესაც თქვენ/უფლებამოსილი მძღოლი მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებთ მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
5.21. შემთხვევებზე, როდესაც თქვენ/უფლებამოსილი მძღოლი დაზიანებულ ავტომანქანას აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებთ ჩვენთან შეუთანხმებლად;
5.22. შემთხვევაზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;
5.23. თუ დაზღვეული ინტერესებთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ თქვენ ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ ჩვენთვის ინფორმაცია არ წარმოგიდგენიათ წერილობითი ფორმით.
5.24. არაუფლებამოსილი მძღოლის მართვის დროს დამდგარი შემთხვევების ხარჯების ანაზღაურებაზე.
5.25 ავტოტრანსპორტზე, რომელიც გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:
ა) ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის (როგორიც არის ნიტრო-გლიცერინი, დინამიტი თუ სხვა ნებისმიერ ასაფეთქებელი ნივთიერებები);

ბ) ნაყარ მდგომარეობაში, თხევადი გაზის (LPG), ნებისმიერი საწვავის თუ აალებადი ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის;

გ) ქიმიური ნივთიერებების ან გაზის ტრანსპორიტრებისთვის (თხევად, კომპრესირებულ ან აირისებრ მდგომარეობაში);

დ) მგზავრთა/ტვირთის გადაყვანისთვის ან ავტოტრანსპორტის გაქირავებისას, ან სატაქსო მომსახურების გაწევისას;

ე) კონტრაქტორის ნებისმიერ მოძრავი ქარხნების თუ დანადგარების გადატანისთვის (რომლებიც არ განეკუთვნება საზოგადეობრივი გზებისთვის გადასაადგილებელ ტვირთს/ტრანსპორტს);

5.26. ავტოტრანსპორტზე, რომელიც სპეცილურად შექმნილია და ადაპტირებულია სამხედრო და/ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოპერაციების ჩასატარებლად;

5.27. ავტოტრანსპორტზე, რომელიც ნებისმიერი სახის რბოლებისთვის გამოიყენება;

5.28. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილ საკუთრების სახით ინახება მასთან გადაიზიდება დაზღვეული ავტომანქანით ან ასეთ მანქანაზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით;

5.29. მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან გარდაცვალება, შემთხვევიდან **12** კალენდარული თვის შემდგომ;

5.30. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერ სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა;

5.31. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

<u>განსაკუთრებული შენიშვნა: წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და მომხმარებლისთვის მისი გაცნობა/გადაცემა არ წარმოშობს რაიმე ვალდებულებებს და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე.</u>

სს "ჰუალინგ დაზღვევა"